



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბინაძე-სამარსკის ამოცანა

ბინაძე-სამარსკის ამოცანა, არალოკალური სასაზღვრო ამოცანა იმ დიფერენციალური განტოლებებისთვის, რომელთა საძიებელ ამონახსნებზე დამატებითი პირობები მოცემულია არა აუცილებლად არის საზღვარზე, არამედ შეიცავს საძიებელი ფუნქციის მნიშვნელობებს არის შიგა წერტილებშიც.

კერძოდ, ბ.-ს. ა-ის შემთხვევაში მოცემულია საზღვრის (მისი ნაწილის) წერტილებსა და არის შიგნით ამ საზღვრის (მისი ნაწილის) დიფეომორფული ანასახის წერტილებში საძიებელი ფუნქციის მნიშვნელობათა სხვაობა. პირველად ელიფსური ტიპის განტოლებებისათვის ზოგადი სახით ეს ამოცანა დასმული და კერძო შემთხვევებისათვის გამოკვლეული იყო ა. ბინაძისა და ა. სამარსკის (1919–2008, სსრკ, რუსეთი), ერთობლივ შრომაში (1969). სხვადასხვა სახის დიფერენც. განტოლებებისათვის იგივე ამოცანა, აგრეთვე მისი განზოგადებები განხილული იყო დ. გორდემიანის, ა. სკუბაჩევსკის, ბ. პანეიახის, ვ. ილინის, ე. მოისევეის და სხვათა შრომებში. ბ.-ს. ა. წარმოიშობა ბოგიერთი ბუნებრივი პროცესისა და მოვლენის მათ. მოდელირებისას.

ლიტ.: Б и ц а д з е А. В., Некоторые классы уравнений в частных производных, М., 1981; Б и ц а д з е А. В., С а м а р с к и й А. А., О некоторых простейших обобщениях линейных эллиптических задач, «Доклады АН СССР», 1969, т. 185, № 4, с. 739 – 740.

**დ. გორდემიანი**

---